



№1გ/548-16



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით
საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ

30 მარტი 2016 წელი

ქ.თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
საგამომიებო კოლეგიის მოსამართლე
გიორგი გოგინაშვილმა

ზეპირი მოსმენის გარეშე, განვიხილე ბრალდებულ თ. დ.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმის წინასასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარის მტკიცებულებათა ნაწილის დაუშვებლად ცნობის შესახებ, თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე დავით კურტანიძის 2016 წლის 22 მარტის საოქმო განჩინებაზე, ქ.თბილისის გლდან-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის პროკურორის ლ. ჟ.-ს საჩივარი და

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

თბილისის საქალაქო სასამართლოში 2016 წლის 15 მარტს განსახილველად შევიდა სისხლის სამართლის N001030216003 საქმე, თ. დ.-ს (დაბ.: XXXX წლის XX ოქტომბერს, პ/ნ XXXXXXXXXXX) მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქ/პუნქტით (სამი ეპიზოდი) და სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით.

საქმის მასალების მიხედვით, 2016 წლის 16 იანვარს, სადამოს საათებში, ქ. თ.-ში ბ.-ს ქუჩაზე სავაჭრო ცენტრ „გ. პ.-ს“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საწყობიდან, თ. დ. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა ი. ჯ.-ს კუთვნილ ჯამში 360 (სამას სამოცი) ლარის ღირებულების სარეცხი საშუალებების „არიელისა“ და „ვერის“ შეკვრებს. თ. დ.-ს ქმედებით ი. ჯ.-ს მიადგა 360 (სამას სამოცი) ლარის ოდენობის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

2015 წლის 23 იანვარს სადამოს საათებში ქალაქ თ.-ში ბ.-ს ქუჩაზე სავაჭრო ცენტრ „გ. პ.-ს“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საწყობიდან თ. დ. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლა ი. ჯ.-ს კუთვნილ ჯამში 360 (სამას სამოცი) ლარის ღირებულების



სარცხი საშუალებების „ტაიდის“ , „ფეირის“ და „არიელის“ შეკვრებს. თ. დ.-ს ქმედებით ი. ჯ.-ს მიადგა 360 (სამას სამოცი) ლარის ოდენობის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

2015 წლის 24 იანვარს სადამოს საათებში ქალაქ თ.-ში ხ.-ს ქუჩაზე სავაჭრო ცენტრ „გ. პ.-ს“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საწყობიდან თ. დ. მართლსაწინააღმდეგო მისკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლა ი. ჯ.-ს კუთვნილ ჯამში 242 (ორას ორმოცდაორი) ლარის ღირებულების ჭურჭლის სარეცხი საშუალებების „რახმას“ და ტუალეტის ქაღალდის „სელპაკის“ შეკვრებს. თ. დ.-ს ქმედებით ი. ჯ.-ს მიადგა 242 (ორას ორმოცდაორი) ლარის ოდენობის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

2016 წლის 1 თებერვალს დილის საათებში ქალაქ თბილისში ხ.-ს ქუჩაზე სავაჭრო ცენტრ „გ. პ.-ს“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საწყობიდან თ. დ. მართლსაწინააღმდეგო მისკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლა ი. ჯ.-ს კუთვნილ ჯამში 85 (ოთხმოცდახუთი) ლარის ღირებულების სარეცხის საშუალების „ტაიდის“ შეკვრას. თ. დ.-ს ქმედებით ი. ჯ.-ს მიადგა 85 (ოთხმოცდახუთი) ლარის ოდენობის მატერიალური ზიანი (იხ. დადგენილება პირის ბრალდების შესახებ).

აღნიშნულ საქმეზე, 2016 წლის 20 თებერვალს გამოტანილ იქნა დადგენილება პირის ბრალდების შესახებ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით და სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქ/პუნქტით (სამი ეპიზოდი), ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ნიკოლოზ მარგველაშვილის 2016 წლის 22 თებერვლის განჩინებით ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულ იქნა პატიმრობა. წინასასამართლო სხდომა დაინიშნა 2016 წლის 22 მარტს 12:00 საათზე.

მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე წინასასამართლო სხდომა ჩატარდა 2016 წლის 22 მარტს. სხდომაზე განხილული იქნა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხი, რა დროსაც სასამართლომ პროკურორის შუამდგომლობა დააკმაყოფილა ნაწილობრივ. კერძოდ, დამტკიცდა ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხა პროკურორის მიერ სასამართლო სხდომაზე ჩამოყალიბებული მოცემულობით და ისინი დაშვებული იქნა საქმის არსებით განხილვაზე, როგორც მტკიცებულებები, გარდა შემდეგი მტკიცებულებებისა: ვიდეო სამეთვალყურეო კამერების ჩანაწერების დათვალიერების ოქმი და კომპიუტერული დისკები ვიდეოჩანაწერებით 8 ცალი, 1 პაკეტად. (მტკიცებულებათა ნუსხის 3.1 და 5.1. პუნქტი).

პირველი ინსტანციის სასამართლომ (ადგილზე თათბირით მიღებულ განჩინებაში) აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი იყო 2016 წლის 5 თებერვლის მიმართვა მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „თ.-ს“ დირექტორის სახელზე და 2016 წლის 11 თებერვლის პასუხი ამ მიმართვაზე. როგორც აღნიშნული დოკუმენტებიდან ირკვეოდა გამომძიებელმა „თ.-ს“ დირექტორს მიმართა გადაეცა გამომძიებისათვის საკონტროლოდ დამონტაჟებული სათვალთვალ კამერის ვიდეო ჩანაწერი კონკრეტული დროის მონაკვეთში, სადაც შესაძლებელია ასახული ყოფილიყო დანაშაულის ჩადენის ფაქტი. „თ.-ს“ დირექტორს მიერ მოთხოვნა დაკმაყოფილდა და ვიდეოჩანაწერი, კომპიუტერულ დისკზე გადატანილი სახით გადაეცა გამომძიებას. ვიდეო ჩანაწერის გადაცემის შემდეგ გამომძიებლის მიერ



დათვალიერებულ იქნა „დივიდი“ დისკზე არსებული ჩანაწერები. საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე დასახელებული კომპიუტერული დისკი წარმოადგენს მტკიცებულებას. კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ საქართველოს სსსკ-ის 72-ე და 136-ე მუხლებზე მითითებით განმარტა, რომ სწორედ კომპიუტერულ სისტემაში ინახებოდა გამოძიებისათვის საჭირო ინფორმაცია, რის გამოც ამ ინფორმაციის მოსაპოვებლად საჭირო იყო სასამართლოსთვის მომართვა და შესაბამისი განჩინების მიღება. ამისათვის საპროცესო კანონმდებლობაში გათვალისწინებულია სპეციალური მექანიზმები, რომლის დებულებებიც გადმოცემულია საქართველოს სსსკ-ის 136-ე, 143¹-143¹⁰-ე მუხლებში. შესაბამისად საგამოძიებო ორგანოებს საკუთარი მოქმედებები კომპიუტერულ სისტემაში დაცულ მტკიცებულებებთან მიმართებაში უნდა განეხორციელებინათ ამ ნორმების მოთხოვნის შესაბამისად. საქართველოს სსსკ-ის 143³-ე მუხლის თანახმად, შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით გამოძიების წარმოებისას დაუშვებელია კომპიუტერულ სისტემაში დაცული ინფორმაციის ამოღება. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა განსაზღვრავს, თუ როდის შეიძლება მტკიცებულება ჩაითვალოს დაუშვებლად. ამრიგად სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ განსახილველი მტკიცებულებების მოპოვებისას დაირღვა მტკიცებულებათა მოპოვების საპროცესო წესი, კერძოდ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნები, რითაც თავის მხრივ საფრთხე შეექმნა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლებას. ასევე დაირღვა ვიდეო დისკის საპროცესო დამაგრების სსსკ-ით დადგინილი წესი. ამასთან კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამ მტკიცებულების საფუძველზე მოპოვებული სხვა მტკიცებულებები, რომლებიც არსებითად აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, კერძოდ ვიდეო-ჩანაწერის დათვალიერების ოქმი და ნივთიერი მტკიცებულება-დისკები, საქართველოს სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად დაუშვებელ მტკიცებულებად იქნა მიჩნეული(იხ. საოქმო განჩინების აუდიო-ჩანაწერი).

ზემოაღნიშნული განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გაასაჩივრა ქ.თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის პროკურორმა **ლ. ჟ.-მ.**, რომელიც ითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე დავით კურტანიძის 2016 წლის 22 მარტის საოქმო განჩინების გაუქმებას ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულების 2016 წლის 12 თებერვლის ვიდეოჩანაწერის დათვალიერების ოქმის (3.1.) და ნივთიერი მტკიცებულებები -8 ცალი კომპიუტერული დისკი (5.1.) აღნიშნული მტკიცებულების საქმის არსებით განხილვაზე დასაშვებად ცნობას.

პროკურორის საჩივარში მითითებულია, რომ ზემოაღნიშნული მტკიცებულებები დაუშვებლად იქნა ცნობილი საქართველოს სსსკ-ის 136-ე მუხლზე დაყრდნობით, ვინაიდან სასამართლოს შეფასებით განსახილველი სისხლის სამართლის საქმეში ვიდეომასალა მოპოვებულ იქნა ამ მუხლის უხეში დარღვევით. მოსამართლე გადაწყვეტილებაში უთითებს, საქართველოს სსსკ-ის 136-ე და სსსკ-ის 143-ე მუხლებზე. „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონზე და სწორედ აღნიშნულის საფუძველზე მიიჩნევს, რომ მიკროსაფინანსო



ორგანიზაცია „თ.-დან“ ვიდეოჩანაწერების მოპოვება უნდა მომხადერიყო სასამართლოს განჩინების საფუძველზე. სახელმწიფო ბრალმდებელი მიიჩნევს, რომ საქართველოს სსსკ-ის 136-ე მუხლში ცალსახად წერია რომ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის ან დოკუმენტის მისაღებად პროკურორი უფლებამოსილია და არა ვალდებული, რომ მიმართოს სასამართლოს შესაბამისი განჩინების გაცემის შუამდგომლობით. ამასთან მოცემულ შემთხვევაში გამომძიებლის მიმართვის საფუძველზე ორგანიზაციის დირექტორმა თავისი შეხედულებისამებრ თავისი ნებით და არა იძულებით მიაწოდა ბრალდების მხარეს დანაშაულის შემცველი ვიდეომასალა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ბრალდების მხარის მიერ თ. დ.-ს სისხლის სამართლის საქმეზე, მტკიცებულებათა მოპოვებისა და დამაგრებისას არ დარღვეულა კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები და არ არსებობს საქმეზე ნივთმტკიცებად დართული ვიდეომასალისა და მასთან დაკავშირებული საგამომძიებო მოქმედებების დაუშვებლად ცნობის კანონიერი საფუძველი (იხ. საჩივარი).

წარმოდგენილი საჩივრისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად საგამომძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის საჩივარში მკაფიოდ და ნათლად არის ჩამოყალიბებული პროკურორის არგუმენტები და მოსაზრებები. შესაბამისად, საგამომძიებო კოლეგიის შეფასებით რაიმე საკითხი დამატებით, ზეპირი მოსმენით დაზუსტებას არ საჭიროებს და წარმოდგენილი მასალები სრულიად საკმარისია საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსამართლის დისკრეციის (უფლებამოსილების) ფარგლებში, საგამომძიებო კოლეგიამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ბრალდების მხარის საჩივარი, შეისწავლა და გააანალიზა წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმის მასალები და მიიჩნია, რომ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი გარემოებები:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე განიხილავს მხარეთა შუამდგომლობებს მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, წინასასამართლო სხდომის მოსამართლის გადაწყვეტილება მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის შესახებ ერთჯერადად, 5 დღის ვადაში საჩივრდება გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მეშვეობით, რომელიც საჩივარს, საქმის მასალებსა და წინასასამართლო სხდომის ოქმს დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო სასამართლოს. სააპელაციო სასამართლოს საგამომძიებო კოლეგიის მოსამართლე ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე განიხილავს საჩივარს 5 დღის ვადაში. საჩივარი და საქმის მასალები თბილისის სააპელაციო სასამართლოში შემოსული იქნა 2016 წლის 29 მარტს.

საკითხის განხილვისას, საგამომძიებო კოლეგია ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად, არცერთ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით. ხოლო, ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად,



მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს თუ როდის შეიძლება მტკიცებულება ჩაითვალოს დაუშვებლად. კერძოდ, აღნიშნული კოდექსის 72-ე მუხლის თანახმად, არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, მტკიცებულება არის კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზეც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ასრულებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებს და კანონიერ ინტერესებს, ხოლო სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას. დოკუმენტი მტკიცებულებაა, თუ ის შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დასადგენად საჭირო ცნობას. დოკუმენტად ითვლება ნებისმიერი წყარო, რომელშიც ინფორმაცია აღბეჭდილია სიტყვიერ-ნიშნობრივი ფორმით ან/და ფოტო-, კინო-, ვიდეო-, ბგერისა თუ სხვა ჩანაწერის სახით ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საგამომიებო კოლეგია მიიჩნევს, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაცია უსაფუძვლოა ხსენებული მტკიცებულების დასაშვებად ცნობისათვის. შესაბამისად, საგამომიებო კოლეგია ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას მოცემულ საქმეზე ბრალდების მხარის წარმოდგენილი მტკიცებულების - ვიდეო სამეთვალყურეო კამერების ჩანაწერების დათვალიერების ოქმი და კომპიუტერული დისკები ვიდეოჩანაწერები 8 ცალი, 1 პაკეტად. (მტკიცებულებათა ნუსხის 3.1 და 5.1. პუნქტი). დაუშვებელ მტკიცებულებებად ცნობის თაობაზე და მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მიღებულია არსებითად სწორი გადაწყვეტილება.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში ინახება სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან დოკუმენტი, პროკურორი უფლებამოსილია გამოძიების ადგილის მიხედვით, სასამართლოს მიმართოს შესაბამისი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით. ხოლო, რაც შეეხება თავად კომპიუტერულ სისტემასა და მონაცემს, საქართველოს სისხლის სამართლის



საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 27-ე ნაწილის მიხედვით კომპიუტერული სისტემა არის ნებისმიერი მექანიზმი ან ერთმანეთთან დაკავშირებულ მექანიზმთა ჯგუფი, რომელიც პროგრამის მეშვეობით, ავტომატურად ამუშავებს მონაცემებს (მათ შორის, პერსონალური კომპიუტერი, ნებისმიერი მოწყობილობა მიკროპროცესორით, აგრეთვე მობილური ტელეფონი). ამავე მუხლის 28-ე ნაწილის შესაბამისად კი კომპიუტერული მონაცემი არის კომპიუტერულ სისტემაში დამუშავებისათვის ხელსაყრელი ნებისმიერი ფორმით გამოსახული ინფორმაცია, მათ შორის პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირებას. აღნიშნული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე უდავოა, რომ საქმეში წარმოდგენილი ვიდეო-ჩანაწერები წარმოადგენს კომპიუტერულ მონაცემებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის მე-4 ნაწილით იმპერატიულად განისაზღვრა, რომ მოცემული მუხლით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებაზე ვრცელდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143²-143¹⁰-ე მუხლების დებულებები. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143³-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი ფარული საგამოძიებო მოქმედება ტარდება მოსამართლის განჩინებით, განჩინებას პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე იღებს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე.

მოცემულ შემთხვევაში მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „თ.-ს“ კამერით აღბეჭდილი ვიდეო-ჩანაწერები, უდავოა, რომ წარმოადგენს კომპიუტერულ სისტემაში დაცულ კომპიუტერულ მონაცემს, ხოლო გამოძიებისთვის წარდგენილი დისკი არის კომპიუტერულ მონაცემთა შესანახი საშუალება, რომელშიც საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია აღბეჭდილია ვიდეო-ჩანაწერის სახით. შესაბამისად, იმის გამო, რომ ვიდეო-ჩანაწერები გამოთხოვილი იქნა მხოლოდ მიმართვის წერილების საფუძველზე, საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ აღნიშნულით არ იქნა დაცული შესაბამისი სტანდარტი. კერძოდ, ის, რომ დაუშვებელია მიმართვის საფუძველზე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით განსაზღვრული ინფორმაციის გამოთხოვა. საქმეში არ არის უფლებამოსილი პირის შესაბამისი მოქმედების ამსახველი საპროცესო დოკუმენტი და ყველა მონაცემი მიუთითებს იმის შესახებ, რომ კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში დაცული მონაცემები იქნა გამოთხოვილი გამომძიებლის მიერ წერილის საშუალებით, რაც თავისთავად დაუშვებელია და დათვალთქმების ოქმი და ვიდეოდისკები კანონის დარღვევით დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა იქნას დატოვებული.

რაც შეეხება, საჩივრის არგუმენტს ბრალდების მხარის უფლებამოსილებაზე ფარულ საგამოძიებო მოქმედების ჩატრებისას, საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გამომძიებელს, პროკურორს არ უწესებს რიგითობას ნებისმიერ სისხლის სამართლის საქმეზე რომელი მტკიცებულების მოპოვებით დაიწყოს დანაშაულის გახსნა/გამოძიება. განსხვავებით სხვა საგამოძიებო მოქმედებებისაგან, ფარულის საგამოძიებო მოქმედების არის და მისი განხორციელების წესი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განისაზღვრა 2014 წლიდან, შესაბამისად სსსკ-ის 136-ე, 143²-143¹⁰-ე მუხლებმა დაადგინეს მტკიცებულებების მოპოვების განსხვავებული რეჟიმი, სტანდარტი,



ვიდრე სხვა საგამომიებო მოქმედება, ფარულ საგამომიებო მოქმედებებზე არ ვრცელდება ნებაყოფლობითობა, სხვაგვარად ეს საგამომიებო მოქმედება დაკარგავდა იმ სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას, რასაც ემსახურება ფარულ რეჟიმში ინფორმაციის მოპოვება. ამასთან სსს კოდექსით ყველა საგამომიებო მოქმედებით მოპოვებულ მტკიცებულებას უნარჩუნდა თანაბარი იურიდიული ძალა. ამ შემთხვევაში ბრალდების მხარის უფლებამოსილება უკავშირდება სწორედაც მის დისკრეციას, და არა სხვა მხარის უფლებამოსილებას, რომ ამ განსხვავებული რეჟიმით მოსაპოვებელი მტკიცებულება შესაძლებელია მოპოვებულ იქნას მხოლოდ ამ მუხლებით დადგენილი წესით, რამეთუ მხარის გადასაწყვეტია ზოგადად მოიპოვებს თუ არა ამ ინფორმაციას.

აქვე საგამომიებო კოლეგია აღნიშნავს, რომ, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოსთვისაც ცნობილია სისხლის სამართლის პროცესის ძირითადი პრინციპები და ამოცანები არის სწორედ ის, რომ სამართალწარმოების პროცესი იყოს მხარეებისათვის, როგორც ხელმისაწვდომი, ისე ეფექტური და ხარისხიანი და რაც ასევე ნიშნავს სასამართლომ უნდა იზრუნოს სამართალწარმოების განხორციელების მაღალი სტანდარტების დამკვიდრებაზე. გამომდინარე აქედან მიზანშეწონილია, რომ ისეთი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები, როგორცაა წინასასამართლო სხდომაზე მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობა, რაც საჩივრდება ზემდგომ ინსტანციაში და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ განჩინებები, რომელიც თავისი არსით და მნიშვნელობით განაჩენის ტოლფასი აქტია, წერილობითი სახით იყოს ჩამოყალიბებული სხდომის ოქმში ან დართული საქმეს, რაც სასამართლოს პრესტიჟის, ავტორიტეტის, ნდობისა და მართლმსაჯულების ხარისხის ამაღლებას უწყობს ხელს. ეს საკითხი მით უფრო საყურადღებოა, რომ მნიშვნელოვანია ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბება და ამასთან, რიგ სასამართლოებში საქმეთა შესაძლო მაღალმა დატვირთვამ არ უნდა დააზარალოს მართლმსაჯულების ინტერესები და ზიანი არ უნდა მიაყენოს სამართალწარმოების ჯეროვან განხორციელებას.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

ვიხელმძღვანელებ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3, 72-ე, 82-ე, 131-ე, 207-ე, 219-ე მუხლებით და

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე :

1. ქ.თბილისის გლდანი-ნამალაძევის რაიონული პროკურორატურის პროკურორის **ლ. ჟ.**-ს საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე დავით კურტანიძის 2016 წლის 22 მარტის საოქმო განჩინება დარჩეს უცვლელი;

3. განჩინების ასლები შესასრულებლად და ცნობისათვის, გაეგზავნოთ და გადაეცეთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ შესაბამის უფლებამოსილ პირებსა და ორგანოებს;



4. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მოსამართლე

გიორგი გოგინაშვილი